საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/285 "30" დეკემბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-9 მუხლის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესი თანდართული სახით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

2016 წლის 30 ივლისის № 1/285

გადაწყვეტილებით

სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების
წ ე ს ი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, ამ პროცესში სასამართლოს ჩართულობასა და სასამართლო მედიაციის წარმართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. წინამდებარე წესის მიზანია სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისა და სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა.

მუხლი 2. სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირება

1. სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტური წარმართვის, მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოებისას კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და მხარეთა ინტერესების შესაბამისი შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით, საერთო სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში საქმიანობას ახორციელებს კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში (შემდგომში - მედიაციის კონსულტანტი), ხოლო ასეთი საშტატო ერთეულის არარსებობისას - სასამართლოს მენეჯერი.

2. მედიაციის კონსულტანტი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, სხვა სამართლებრივი აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 3. მედიაციის კონსულტანტის ფუნქციები

1. სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მედიაციის კონსულტანტი:

ა) ზედამხედველობს სასამართლო მედიაციის პროცესს;

ბ) აწვდის მხარეებს ინფორმაციას სასამართლო მედიაციის შესახებ;

გ) მოიძიებს ინფორმაციას მედიატორთა შესახებ;

დ) შეარჩევს მედიატორს ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ე) მხარეებთან და მედიატორთან შეთანხმებით განსაზღვრავს სასამართლო მედიაციის ჩატარების დროსა და ადგილს;

ვ) უგზავნის მხარეებსა და მედიატორს დანიშნული შეხვედრების შესახებ ინფორმაციას;

ზ) უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციისათვის გადაცემული საქმის თაობაზე საინფორმაციო ბარათის წარმოებას.

მუხლი 4. სასამართლო მედიაციის პროცესის დაწყება

1. სასამართლო მედიაციის პროცესი იწყება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმის მედიატორისათვის გადაცემით.

2. მედიაციის კონსულტანტი სასამართლო მედიაციის პროცესის მოსამზადებელ ეტაპზე იწვევს მხარეებს და განუმარტავს მათ მედიაციის არსსა და მის სამართლებრივ შედეგებს, ასევე უზრუნველყოფს მხარეთათვის მედიატორთა სიის გადაცემას.

3. მხარეები, მედიატორთა სიის გადაცემიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მედიაციის კონსულტანტს წარუდგენენ შერჩეული მედიატორის შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მედიაციის კონსულტანტი მხარეთა თანდასწრებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, შეარჩევს მედიატორს დავის კატეგორიისა და მედიატორის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება მხარეთა ხელმოწერით.

მუხლი 5. სასამართლო მედიაციის პროცესის ორგანიზება

1. სასამართლო მედიაციის პროცესში შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს როგორც სასამართლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სასამართლოში შეხვედრების ჩატარების უზრუნველყოფას, შეხვედრების ჩასატარებლად აუცილებელი ფართის გამოყოფას, ასევე მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს მედიაციის კონსულტანტი.

2. მედიაციის კონსულტანტი უზრუნველყოფს შეხვედრების რაოდენობის, მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის მხარეთა გამოუცხადებლობის, სასამართლო მედიაციის ვადის დაცვის, ასევე მისი გაგრძელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას საინფორმაციო ბარათში.

მუხლი 6. სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულება

1. სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მედიატორი მედიაციის კონსულტანტს წარუდგენს მხარეთა მორიგების აქტს. მედიაციის კონსულტანტის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

2. თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მედიაციის კონსულტანტის მიმართვის საფუძველზე სასამართლო განაახლებს საქმის წარმოებას.